შპს „ევროპული სკოლა“ აცხადებს ვაკანსიას უფროსი მზარეულის პოზიციაზე

პოზიციის მიზანი: ევროპული სკოლისა და სკოლამდელი აღზრდის ცენტრის კვებით უზრუნველყოფა.

ფუნქცია-მოვალეობები:

- სკოლის სამზარეულოში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა; ევროპული სკოლისა და სკოლამდელი აღზრდის ცენტრისთვის უსაფრთხო და დადგენილი ნორმებით შესაბამისი საკვებით უზრუნველყოფა;
- მიღებული პროდუქტის ვარგისიანობის შემოწმება, კვების უზრუნველყოფის მენეჯერთან და სკოლის ექიმთან ერთად ყოველდღიური მენიუს შედგენა, მომზადება და მენიუს მიხედვით პროდუქტების შეკვეთა;
- კერძების შემადგენლობაში შემავალი ინგრედიენტების კონტროლი დღიური კალორაჟის შესაბამისობასთან დადგენით.
- კერძების მომზადების პროცესის კონტროლი და მაღალი ჩართულობა;
- ნებისმიერი მომზადებული კერძის წინასწარი დეგუსტაცია მიწოდებამდე;
- მომზადებული კერძების ხარისხის კონტროლი;
- სასადილოში გადატანილი მზა კერძების კონტროლი;
- სკოლამდელი აღზრდის ცენტრისთვის ყოველდღიურად სამჯერადი კვების მომზადება და გაცემა;
- კომპეტენციის ფარგლებში უშუალო ხელმძღვანელის, სკოლის ექიმის დავალებების შესრულება.

კვალიფიკაცია:

განათლება

- განათლება შესაბამის სფეროში.

გამოცდილება

- მსგავს პოზიციაზე მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება;

ცოდნა, უნარები და შესაძლებლობები:

- სამზარეულოს უსაფრთხოებისა და კერძის მომზადების წესები;
- განათლების სამინისტროს მიერ გამოცემული რეგულაცია - ჯანსაღი და უსაფრთხო კვება სკოლაში.

პიროვნული მახასიათებლები:

- დეტალებზე ორიენტირებულობა;
- პასუხისმგებლობის გრძნობა;
- ინსტრუქციების, პროცედურების დაცვის უნარი;
- ორგანიზებულობა.

დაინტერესების შემთხვევაში, გამოაგზავნეთ თქვენი რეზიუმე (CV) ელექტრონული ფოსტის მისამართზე: hr@europeanschool.ge 2018 წლის 20 აგვისტომდე.

გთხოვთ, ელექტრონული წერილის თემის ველში მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი რეზიუმე არ განიხილება.

აღნიშნულ ვაკანსიაზე მონაცემების გაგზავნით ადასტურებთ, რომ თანახმა ხართ, კომპანიამ "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის" ფარგლებში შეაგროვოს, დაამუშავოს და შეინახოს წარდგენილი ინფორმაცია (cv) თქვენი დასაქმებისთვის საჭირო პროცედურების წარმართვის მიზნით. პერსონალური მონაცემები გამოყენებული იქნება მხოლოდ აღნიშნული მიზნისთვის და თქვენი თანხმობის გარეშე არ გადაეცემა მესამე პირს.